

სახით:

პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
---------------	--------------------

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა
-------------	-----------------	----------	-------	-------------------

დავის საგანი

საჯარო ინფორმაციის მოწოდება
 ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2011 წლის 13 სექტემბერს ააიპ "უსაფრთხო სივრცე"-მ ქ.თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს მიმართა №11/118704-7 (მოვითხოვეთ ქალაქ თბილისში არსებული პარკებისა და სკვერების სია); №11/118709-7 (მოვითხოვეთ ინფორმაცია შავი ფიჭვის მასიური ხმობის მიზეზებზე და ბოლო ორი წლის განმავლობაში ხმობის საწინააღმდეგოდ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ) და №11/07/118693-25 (მოვითხოვეთ გადმოეცათ ქალაქ თბილისში მოქმედი აგრონორმების სტანდარტების განმსაზღვრელი დოკუმენტი).

2011 21 სექტემბერს მივიღეთ ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ბ-ნ გიორგი ქორქაშვილის წერილი.

საქალაქო სამსახურმა ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდა არასრულყოფილად, ქ.თბილისში არსებული ბაღებისა და სკვერების სახელწოდებების გასაგებად გადაგვამისამართა ქ.თბილისის საკრებულოში (თუმცა საქალაქო სამსახური თავად იყო ვალდებული მიემართა საკრებულოსთვის), ხოლო ქ.თბილისში მოქმედი აგრონორმების სტანდარტების განმსაზღვრელი დოკუმენტი კი საერთოდ არ მოგვაწოდა.

მიგვაჩნია რომ პასუხი არის მომზადებული ზერელედ, ყოველგვარი პროფესიონალიზმის გარეშე და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. მიღებული პასუხი გავასაჩივრეთ ქალაქ თბილისის მერთან 2011 წლის 28 სექტემბერს, თუმცა პასუხი დღემდე არ მიგვიღია.